

# ეპიკური

№6 (222) 2024 წლის 10 მაისი

განმარტული სივრცე

ნიკოლოზ  
კუჩუნიანი

80





# მშრალი ფხვნილის ინჰალატორების როლი ბრონქული ასთმის წარმატებულ მართვაში



ბრონქული ასთმა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ქრონიკული დაავადებაა. დღესდღეობით მსოფლიოში მისი 339 მლნ შემთხვევაა დიაგნოსტიკებული და ყოველწლიურად განმავადების 176 მლნ შემთხვევა აღიარებულია. განმავადებათა მალაქი მარჯვენაბალი ტვირთად აწვეს ჯანდასრვის სისტამას.

ასთმის სტაბილური მართვა გადამწყვეტ როლს ასრულებს განმავადების თავიდან ასილაბაში.

ასთმის მართვისა და საინჰალაციო მოწყობილობების შესახებ გვსაუბრა მელისინის დოქტორი **ეკატერინე როლონია**:

— ასთმის მართვის პირველი ეტაპია მდგომარეობის შეფასება. ამის შემდეგ ინიშნება მკურნალობა, რომელიც პაციენტს უნდა

მოერგოს და არა დაავადებას, მაშასადამე, მეთოდები და საშუალებები შეირჩეს პაციენტის თავისებურებების, საერთო მდგომარეობის, ჩვევების, ცხოვრების რიტმის, ასაკის, განათლებისა და ინტელექტის მიხედვით. აუცილებელია რისკფაქტორებისა და თანაარსებული დაავადებების მართვა და ამის შესახებ პაციენტის ინფორმირება.

განსაზღვრული ხნის შემდეგ ხდება შედეგის შეფასება. თუ თავი იჩინა წამლის თანმხლებმა ეფექტებმა, საჭიროა მათი მართვა.

ბრონქული ასთმის სამკურნალო საშუალებები ორ მთავარ კატეგორიად იყოფა: საჭიროების დროს გამოსაყენებელ (სწრაფი ჩარევის) მედიკამენტებად და ყოველდღიურად გამოსაყენებელ (გრძელვადიანი კონტროლის, ბაზისურ) მედიკამენტებად.

მნიშვნელოვანია ასთმის სამკურნალო ხელსაწყობის სწორად გამოყენება. ეს ექიმმა უნდა ასწავლოს პაციენტს და ყოველ ვიზიტზე შეამოწმოს.

სტანდარტული საინჰალაციო მოწყობილობებია გაზომილი დოზის ინჰალატორები (MDIs), მშრალი ფხვნილის ინჰალატორები (DPIs) და ნებულაიზერი.

ამჟამად ყველაზე გამოყენებად და ეფექტურ მოწყობილობად მიიჩნევა მშრალი ფხვნილის ინჰალატორი (DPIs), რომლის სიმარტივეზე დამოკიდებული მკურნალობის ეფექტურობა.

მშრალი ფხვნილის ინჰალატორის დიდი ზომის ნაწილაკები კავდება ენაზე, ხორხსა და ხახაში; პაციენტს აქვს გემოს შეგრძნება დოზის ჩასუნთქვის შემდეგ; საჭიროა ჩასუნთქვისა და ხელის მოძრაობის კორდინაცია.

კვლევები აჩვენებს, რომ ინჰალატორის სწორად იყენებს პაციენტების 31%, 41%-ს აქვს გამოყენების მისაღები ტექნიკა, ხოლო 31%-ის ტექნიკა არასწორია.

ინჰალატორის არასწორი გამოყენება იწვევს მედიკამენტის არაადეკვატურ მიწოდებას და ხელს უშლის დაავადების კონტროლს.

მშრალფხვნილოვან კაფსულირებულ ინჰალატორს აქვს 3 მექანიზმი, რომლებიც პაციენტს საშუალებას აძლევს გაიგოს, რომ სწორად გამოიყენა მედიკამენტი:

1. მუნღმუეის მობრუნებისას ისმის ხმა, რომელიც წამლის სწორად მიღებაზე მიუთითებს;
2. პაციენტთა უმრავლესობა გრძნობს წამლის გემოს;
3. სწორად გამოყენების შემთხვევაში დოზის მიღების შემდეგ კაფსულა ცარიელია.

ამრიგად, კაფსულირებული მოწყობილობა საშუალებას აძლევს პაციენტს, მარტივად შეამოწმოს, მიიღო თუ არა სრულად მედიკამენტის დოზა მისი შესუნთქვის შემდეგ.

მშრალფხვნილოვანი კაფსულირებული ინჰალატორი მკურნალობას საგრძნობლად ამარტივებს და ამცირებს მედიკამენტის არასწორი გამოყენების რისკს, ვინაიდან მასზე ნაკლებად ახდენს გავლენას ისეთი ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად, ხელის სიმარჯვე ან კუნთოვანი ძალა.

მშრალფხვნილოვანი ინჰალატორისა და დოზირებული ინჰალატორის შედარებითი კვლევის თანახმად, კაფსულირებული ინჰალატორის გამოყენებისას შეცდომის ალბათობა სხვა მოწყობილობებთან შედარებით თითქმის ორჯერ ნაკლებია.



მშრალფხვნილოვანი კაფსულირებული ინჰალატორი

